

დედირიუმი

დორენ ოდივეტი

2015-08-27



ლორენ ოლივერი

ინგლისურიდან თარგმნა ნინო შეყვიდაძემ

რედაქტორი დადი ჭინჭარაული

კორექტორები: მარინა ინანიშვილი, ნატალია ჩიშაკაძე
პროექტის მენეჯერი თინათინ ფიქრიაშვილი
დიზაინერი ეთო გზირიშვილი
ტექნიკური რედაქტორი სოფიო ვაშაკიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა დევან დაცაბიძე

Originally Published as Delirium by Lauren Oliver
Copyright© 2011 by Laura Schechter
All rights reserved.

© გამომცემლობა პალიტრა L, 2015

ყველა უფლება დაცულია
მისამართი: თბილისი, იოსებოძლის ქ. 49
238-38-71
book@palitra.ge
www.palitra.ge

რას ფიქრობს Liberteens ამ წიგნზე?

Liberteens თინეიჯერების ჯგუფია, რომელიც კითხულობს და არჩევს მათ თაობაში თანამედროვე, პოპულარულ უცხოურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ გამომცემლობა პალიტრა L ქართულ ენაზე გამოსცემს.

ღორენ ოლივერის „დედირიუმი“ სწორედ მათი არჩეული წიგნია.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საზოგადოება, სადაც სიყვარული დაავადებაა?! სწორედ ასეთი სამყარო შექმნა ღორენ ოლივერმა, რომელიც გურის სიღრმეში ჩაგწვდება და დიდი ხანი არ მოგასვენებს. შეიძლება წიგნის კითხვისას ამორღეღირია ნევროზით დაინფიცირდეთ, რომლის გვერდითი ეფექტებია: დედირიუმის კითხვისას გათენებული ღამეები, ადრენალინა და დენის ბედისწერაზე ნერვიულობა და შემდეგი ნაწილებისთვის სურმოუთქმელი მოლოდინი.

გოგა, 15 წლის

ადრენალინით სამყაროში, სიყვარულს უყურებენ როგორც დაავადებას, რომელიც გარკვეულ ასაკში უნდა განიკურნოს. ადამიანს გრძნობებს ართმევენ და ამსგავსებენ მექანიზმს, რომელსაც არანაირი შეგრძნება არ გააჩნია, ინსტინქტების გარდა. ეს წიგნი გრძნობებით აგავსებთ.

დევანი, 16 წლის

ყველა წიგნს აქვს თავისი განსაკუთრებული მხარე, რომელიც მას უნიკალურს ხდის. «დედირიუმის» უნიკალურობა კი მისი სტილია. ეს არ არის ისეთი წიგნი, რომელსაც უბრალოდ გადაშლი და წაშლი დაამთავრებ... ის უნდა შეიგრძნო... ყველა დეტალი უნდა წარმოიდგინო და უნდა ჩაუღრმავდე. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდები, თუ რისი თქმა სურს ავტორს.

ნანუკა, 14 წლის

სანამ ამ წიგნის წაკითხვას დააპირებთ, გაფრთხილებთ, რომ შემდგომი 24 საათის განმავლობაში არაფერი დაგეგმთ, რადგანაც ეს წიგნი ისე ჩაგითრევთ, ყველაფერი გადაგავიწყდებათ. ეს არის განსხვავებული და ახალი ჟანრი «დისტოპიური რომანტიკა». ზოგიერთ წიგნს შეუძლია გულში ძლიერად ჩაგწვდეს. «დედირიუმმა» ეს მოახერხა და იმედი მაქვს, ამ წიგნის წაკითხვით ისეთივე სიამოვნებას მიიღებთ, როგორც მე მივიღე.

ავთო, 14 წლის

ორენ ორივერი „დედირიუმი“ მსოფლიო გამომხაურება

„ორივერის ღრმად ემოციური და წარმოდგენილი კარგად შეთხზული პრობა მკითხველთა გულთამწყრობელი ხდება. აჩქარებული პულსი და მოვლენათა გაუთვადისწინებელი განვითარება, კარს გვიღებს გავეცნოთ სრულიად ახად, ფანტასტიკურ წიგნთა ციკლს; ინტერესი და მოღოლინი მეორე წიგნისადმი მეტისმეტად ღიღია“.

New York Times

„ორივერის დისტოპიურ ამერიკაში სიყვარული კანონით იკრძალება, ის სიცოცხლისათვის საშიშად და ყველა უთანხმოების წყაროდ მიიჩნევა. დინა ამ ტოტალიტარული კოშმარის ფონზე ნელ-ნელა იღვიძებს. წიგნის მოულოდნელი დასასრული სუნთქვაშეკრულ მკითხველს მრავალ კითხვას უჩენს და ამბის გაგრძელების მოლოდინს უღრმავებს“.

Kirkus ReviewS

„ძლიერი პერსონაჟები, რეპრესიულ საზოგადოებაში მოზარდების ცხოვრების ამსახველი ცოცხალი სურათი და ის საჭირბოროტო კითხვები, რომლებიც შეიძლება, ჩვენს დროებაშიც თავისუფლად დაისვას, ამ წიგნს საოცრად დამაჯერებელსა და დისკუსიულს ხდის“.

Booklist

„გასაოცრად საშიშ ატმოსფეროში, ორივერი ჭეშმარიტი სიყვარულის გამოღვიძებისა და წინააღმდეგობის აღმოცენების ამბავს გვიხატავს. ეს წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს“.

The Horn Book

გაყიდულია 15 მილიონზე მეტი ეგზემპლარი!

თარგმნილია 39 ენაზე!

* * *

ედღენება მათ, ვისგანაც წარსულში «ამორ დედირია ნევროზათი» დავინფიცირდი – თქვენ იცით, ვინც ხართ.

მათ, ვისგანაც მომავალში მემუქრება დაინფიცირების საფრთხე – ერთი სუდი მაქვს, გავიგო, ვინ იქნებით. დიდი მადლობა ერთთაც და მეორეთაც.

ღორენ ორივერი

თავი 1

«ყველაზე საშიში ის დაავადებებია, რომლებიც გვაიძულებს, გვჯეროდეს, რომ ჯანმრთელი ვართ.»

«უჭბს»-ის 42-ე მუხლი.

სამოცდაოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პრემიერმა და კონსორციუმმა სიყვარული დაავადებად გამოაცხადეს, ორმოცდასამი წელი კი მას შემდეგ, რაც განკურნების საშუალებას მიაკვლიეს. ჩემს ოჯახში, ჩემ გარდა, ყველამ იმკურნადა. ჩემი უფროსი და, რეიჩელი, უკვე ცხრა წელია, ჯანმრთელია. აღარც კი ახსოვს სიყვარულის სწეულების სიმპტომები. ჩემი განკურნების პროცედურა ზუსტად ოთხმოცდათხუთმეტი დღის შემდეგ, სამ სექტემბერს, ჩემს დაბადების დღეს არის დაგეგმილი.

ბევრს ამ პროცედურის ეშინია. ზოგი წინააღმდეგობასაც კი უწევს, მაგრამ მე – არა. ველარც კი ვითმენ. ჩემი ნება რომ იყოს, ხვარვე ჩავიტარებდი, მაგრამ მეცნიერებმა რომ განკურნონ, თვრამეტი წლის მაინც უნდა იყო, ზოგჯერ – მეტიცაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსადოღნელია ტვინის დაზიანება, სხეულის ნაწილობრივი პარალიზება, სიბრმავე ან რამე უარესიც კი.

მანუხებს იმაზე ფიქრი, რომ ჯერ კიდევ დაავადებული სისხლი მაქვს. გეფიცებით, ხანდახან ვგრძნობ, როგორ მოძრაობს ჩემს ძარღვებში ბინძური სისხლი, რომელსაც ამჟავებულ რძეს ვადარებ. თავი უწმინდური მგონია. თვარწინ მიდგებიან ჩაბჭირებული ბავშვები ან დაავადებული გოგონები, რომლებიც განკურნებას ეწინააღმდეგებიან, როდესაც მიათრევენ, ფრხილებით ასფარტს ფხაჭნიან, თმას იგრეჯენ, პირიდან ნერწყვი მოსდით.

და, რა თქმა უნდა, მახსენდება დედაჩემი.

პროცედურის შემდეგ ვიქნები ძალიან ბედნიერი და საფრთხე აღარსაიდან დამემუქრება – ამას მიმეორებს ყველა: მეცნიერები, ჩემი და, დედაჩემი კეროდი. პროცედურას ჩავიტარებ თუ არა, იმ ბიჭთან დამაწყვიდებენ, რომელსაც შემფასებლები შემირჩევენ. რამდენიმე წელიწადში კი დავქორწინდებით. ამ ბოლო დროს ჩემი ქორწილიც კი მესიმრება. თითქოს თეთრი ხეივანის ქვეშ ვგავართ, ხელიხედავადილებული. თმაში ყვავილები მაქვს ჩაწნული. მინდა, შევხედო, მაგრამ როცა მისკენ ვტრიალდები, თითქოს ნისლი ეფარება და მის ნაკვთებს ველარ ვარჩევ. გრიდი და მშრალი ხედები აქვს. მე საკუთარი გულისცემა მესმის და სიზმარშიც ვიცი, რომ მისი რიტმი არასდროს დაირღვევა: არ შეხტება, არც